სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ №56/2016 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №8

13. 06. 2016 წელი

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, მალხაზ ღვინჯილია (კომისიის თავმჯდომარე);
2. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ნიკო კვარაცხელია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ელისაბედ ბალიაშვილი (კომისიის მდივანი);

კომისიის წევრები:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური;
2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი.

კომისიის სხდომაზე წევრთა გამოცხადების დამადასტურებელი ფურცელი თან ერთვის სხდომის ოქმს (იხ. დანართი).

დღის წესრიგი:

1 საკითხი. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 14 აპრილის №60/01-01 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრაზე, პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (1 საშტატო ერთეული) - გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ღვინჯილია

1 საკითხი. მომხსენებელი მალხაზ ღვინჯილია

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 14 აპრილის №60/01-01 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრაზე, პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (1 საშტატო ერთეული) - ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მალხაზ ღვინჯილიას ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ პროცედურების შესაბამისად ჩატარდა პრეტენდენტთა შეფასების ორივე ეტაპი, ასევე, საკონკურსო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საცდელი ლექციის ჩატარების შესახებ. აღინიშნა, რომ კომისიის მიერ შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ვაკანტური

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს კიდევ ერთხელ გააცნო თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1 განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა.

აზრი გამოთქვეს: ნ. კვარაცხელიამ (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ე. ბალიაშვილმა (კომისიის მდივანი), ლ. ღუდუშაურმა, გ. ქეშელაშვილმა.

თსუ-ში მოქმედი რეგულაციების თანახმად, ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, საკონკურსო კომისიამ მოამზადა ბიულეტენები (თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, დანართი №5), რომელშიც აისახა შესაბამისი მიმართულების მიხედვით საკონკურსო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტების სახელები და გვარები. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით სხდომაზე. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. საარჩევნო ყუთი კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით დაილუქა და ლუქი დამოწმდა კომისიის წევრთა ხელმოწერებით.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას ურთიერთშეაჯერა პრეტენდენტთა შეფასების ორივე ეტაპი, ასევე საცდელი ლექცია. საკონკურსო კომისიამ ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა შემდეგი კრიტერიუმებით:

- რამდენად შეესაბამება პრეტენდენტების კვალიფიკაცია და პედაგოგიური გამოცდილება ვაკანსიის პროფილს;
- რომელი სასწავლო კურსების წაკითხვა შეუძლია პრეტენდენტს;
- რამდენად შეესაბამება სილაბუსების შინაარსი და ფორმა თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს;
- რამდენად აქტიურად ახორციელებს პრეტენდენტი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;
- ხელს შეუწყობს, თუ არა პრეტენდენტი თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობა;
- ხელს შეუწყობს თუ არა, პრეტენდენტი ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას;
- ხელს შეუწყობს თუ არა თსუ-ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას.

ამასთანავე, პრეტენდენტების შეფასების მეორე ეტაპზე ჩატარდა გასაუბრება და საცდელი ლექცია. საკონკურსო კომისიას საშუალება მიეცა შეეფასებინა ყველა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, რამდენად იქნა დაცული ლექციის რეგლამენტი და სხვა საკითხები, რაც საკონკურსო კომისიის წევრების მიერ იქნა გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, დალუქული საარჩევნო ყუთი გახსნეს კომისიის წევრებმა და დათვალეს პრეტენდენტთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

1. მეტრეველი მარინა – მიღებული ხმების რაოდენობა 1;
2. ქობლიანიძე თამარი – მიღებული ხმების რაოდენობა 0;
3. ყორღანაშვილი ლარისა – მიღებული ხმების რაოდენობა 1;
4. ხელაშვილი იოსები – მიღებული ხმების რაოდენობა 3;

დაადგინეს:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 14 აპრილის №60/01-01 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრაზე, პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (1 საშტატო ერთეული) გამოცხადებულ კონკურსში – გამარჯვებულად გამოცხადდა იოსებ ხელაშვილი.
- კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესთან შესაბამისობის შესახებ და დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო განხორციელდა მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში.
- თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.
- თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქუჩა №2 (კორპუსი X), ოთახი № 310.

კომისიის თავმჯდომარე	/ მალხაზ ღვინჯილია/
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	/ნიკო კვარაცხელია/
კომისიის მდივანი	/ელისაბედ ბალიაშვილი/
კომისიის წევრები:	/ლეილა ღუდუშაური/
	/გიული ქეშელაშვილი/